

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“  
მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

სპეციალობა - „კლავიშოანი საკრავები“

შემოქმედებითი ტურები:

1. სპეციალობა;

2. მუსიკის თეორია:

სოლფეჯიო – სმენითი ანალიზი (წერა),

ტესტი მუსიკის თეორიაში (წერა).

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

**1.სპეციალობა:**

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. ბახი. პრელუდია და ფუგა (კარგად ტემპერირებული კლავირის I ან II ტომიდან);
2. კლასიკური სონატა (ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის);
3. ორი ვირტუოზული ეტიუდი:  
ერთი ეტიუდი – შოპენის ეტიუდები თხზ. 10 (გარდა N3 და N6) და თხზ. 25 (გარდა N7)  
მეორე ეტიუდი – შოპენის, ლისტის, რახმანინოვის (ეტიუდი-სურათი), სკრიაბინის, ბარტოკის, დებიუსის, სტრავენსკის ან პროკოფიევის;
4. პიესა.

**2.მუსიკის თეორია:**

**სმენითი ანალიზი** - აბიტურიენტმა სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიო ჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებულის) მიხედვით

1. კილო: სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; ორმაგად ჰარმონიული მაჟორი და მინორი; მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული). (გამოცდაზე შესრულდება 7 კილო, თითოეული იკვრება 3-ჯერ)
2. ინტერვალი: მარტივი და შედგენილი: ყველა წმინდა, დიდი და პატარა; გადიდებული და შემცირებული (+4; -5; -4; +5; +2; -7; -3; +6) - გადაწყვეტით. (გამოცდაზე შესრულდება 7 ინტერვალი, თითოეული იკვრება 3-ჯერ)
3. აკორდი (მჭიდრო და ფართო განლაგებით): სამხმოვანება - მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის. სეპტაკორდი -მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით; შემცირებული, მცირე მაჟორული სეპტაკორდისექსტით (მაჟორში); ნონაკორდი -დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე. (გამოცდაზე შესრულდება 7 აკორდი, თითოეული იკვრება 3-ჯერ)
4. ერთტონალური აკორდული თანმიმდევრობა (შედგენილი), რომელშიც შევა ჰარმონიის კურსის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები. (იკვრება 3-ჯერ)

**ტესტი მუსიკის თეორიაში** (მუშაობის დრო - 1,5 ასტრონომიული საათი).

ჰარმონიული ანალიზი: საანალიზოდ აბიტურიენტს ეძლევა ერთი ნიმუში მხატვრული ლიტერატურიდან, დაწერილი პერიოდის, მარტივი ორ ან სამნაწილიანი, რთული სამნაწილიანი, ვარიაციული, რონდოს, რონდო-სონატის ან სონატური ფორმით. ანალიზის პროცესში აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს ფორმა, ტონალური გეგმა, მოდულაციის სახეები და ხერხები, კადანსები, ფაქტურა, აკორდიკა.